

Tamar Tsitsishvili

თამარ ციციშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature,

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი,

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Nino Gambashidze

ნინო ღამბაშიძე

Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

Association of Analytical Psychology

ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაცია

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Georgian Women in Emigration

(The Gambashidzes)

ქართველი ქალები ემიგრაციაში

(ღამბაშიძეები)

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10944>

As a result of Georgia's occupation by Bolshevik Russia, part of the population was forced into exile, including the family of the prominent Georgian doctor and public figure Vakhtang Gambashidze (1872–1951). While Gambashidze has been widely studied, this work focuses on the women of his family—his wife Wanda Hope and daughters Medea, Georgetta, and Sunana – their experiences of homeland, emigration, and life abroad. Through their story, the study explores the socio-emotional condition of the first wave of Georgian émigrés in France, issues of identity, and sustained ties with Georgia, drawing on previously unpublished family archival materials.

Keywords: France, Emigration, Medea Ghambashidze, Sunana Ghambashidze, Georgetta Ghambashidze

საკვანძო სიტყვები: ემიგრაცია, საფრანგეთი, მედეა ღამბაშიძე, სუსანა ღამბაშიძე, ჟორჟეტა ღამბაშიძე

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად, საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს სამშობლოს დატოვება მოუხდა. მათ შორის აღმოჩნდა ცნობილი ქართველი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ღამბაშიძის (1872-1951) ოჯახი¹. ემიგრაციამდე თბილისში და ემიგრაციის შემდეგ პარიზში მისი სახლი ქართველი ინტილიგენციისა და უცხოელი სტუმრების თავშეყრის ადგილი გახლდათ. ვახტანგ ღამბაშიძე განთქმული ექიმი, ტუბერკულოზით დაავადებული ავადმყოფების სამკურნალო კურორტ ცემის დამაარსებელია. ის თბილისის ახლად-

¹ ვახტანგ ღამბაშიძის მშობლები ცნობილი ქართველი სასულიერო პირი დავით ღამბაშიძე („დიდი დეკანოზი“ – ასე მოიხსენიებდნენ მას) და ოლა ღატრიბიევა - ყაზბეგი (ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი იყვნენ).

გახსნილ უნივერსიტეტში მედიცინას ასწავლიდა¹. ვახტანგ ღამბაშიძის მეუღლე ამერიკელი ვანდა ჰოპე გახლდათ, რომლისთვისაც საქართველო მეორე სამშობლო გახდა. ივანე ჯავახიშვილმა ვანდა ჰოპე თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ინგლისური ენის პროფესორად მიიწვია. ის უნივერსიტეტის ერთერთი პირველი პედაგოგთაგანია.

წინამდებარე ნაშრომი პირველად ამ ოჯახის ქალბატონებს ვახტანგ ღამბაშიძისა და ვანდა ჰოპეს ქალიშვილებს: – მედეას, ჟორჟეტასა და სუსანას ეხება. მათ მიერ საქართველოდან შორს უცხოობაში განვლილ წლებს და საქმიანობას, ემიგრაციიდან დანახულ სამშობლოს. მათ მცდელობას, კავშირი არ გაეწყვიტათ საქართველოსთან, თავიანთი დიდი ოჯახის ნაწილთან, რომელიც რკინის ფარდის მეორე მხარეს დარჩა და რეპრესიებს ვერ გადაურჩა. ვერცერთი მათგანი ვერ ეღირსა საქართველოში დაბრუნებას. სამწუხაროდ ემიგრაცია და დევნილობა ღამბაშიძეების ოჯახის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. სამშობლოდან მოწყვეტილებს ბოლომდე არ სურდათ, ან ვერ აცნობიერებდნენ, რომ საქართველოში ვეღარასოდეს დაბრუნდებოდნენ. როგორც ცნობილია, ემიგრანტებმა გარდა იმისა, რომ თავიანთი ეთნიკური კუთვნილება უნდა წარმოაჩინონ, მათ უცხო სოციალურ კულტურულ სივრცეში ადაპტაციაც უნდა შესძლონ. საგულისხმოა, რომ ხშირად სამშობლოდან შორს ძლიერ მამაკაცებსაც კი უჭირთ გადახვეწილი ყოფა და უცხო გარემოს ატანა ამის უამრავი მაგალითი არსებობს. ქართველმა ემიგრანტმა ქალებმა გასაოცარი სიძლიერე და ნებისყოფა გამოიჩინეს, ისინი არ გატყდნენ, არამარტო გაუძლეს ცხოვრების ახალ, ხშირ შემთხვევაში, ემიგრანტებისათვის ჩვეულ გაუსაძლის პირობებს, გადარჩნენ, დიდი მსხვერპლიც გაიღეს და ოჯახის წევრებისათვის სულიერ საყრდენად იქცნენ. მედეა ღამბაშიძის დღიურებში იგრძნობა, რომ ძალზედ რთულია განვლილი წლების შემდეგ ყველაფრის გადაფასება, დაბრუნება იმ ადგილებში სადაც ერთდროულად ბედნიერიც იყო და უბედურიც, ძალზედ სასიხარულო რომ ქართველმა მკითხველმა მედეა ღამბაშიძის – ქართული უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტის პირადი დღიურის და ჩანაწერების გამოცემა მიიღო (სამწუხაროდ დღიურის დიდმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. დღიურშივეა მედეასათვის მიწერილი ვიქტორ ნოზაძის წერილები). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მედეას ორივე მშობელი თბილისის უნივერსიტეტის ერთერთი პირველი პროფესორები იყვნენ. მედეა ღამბაშიძე იყო პირველი, ვინც ახალგახსნილ უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე შესვლის შესახებ განცხადება შეიტანა. ის თავის დღიურში დიდი სიამაყით იგონებს 1818 წლის 8 თებერვალს (მეფის სტილით 26 იანვარს) უნივერსიტეტის საზეიმო გახსნას. ძალზედ გულისამაჩყებელია დღიურების ის მონაკვეთი, რომელიც 1968 წლის 14 იანვარს პარიზში „მიუზე სოსიალის“ დიდ დარბაზში საჯარო საზეიმო სხდომაზე მოგვითხრობს. სხდომაზე სხვადა-

¹ სამედიცინო საქმიანობის გარდა იგი „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ ერთერთი დამაარსებელი იყო. საქართველოს მთავრობათან ერთად მონაწილეობას იღებდა დამოუკიდებელი საქართველოს ოსმალეთთან გამართულ საზავო მოლაპარაკებებში. მან ემიგრაციაშიც განაგრძო საქმიანობა, გახსნა კლინიკა, პარალელურად სახლში უსასყიდლოდ პაციენტებს იღებდა (სამედიცინო განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული). ვახტანგ ღამბაშიძე სამჯერ გახლდათ პარიზში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე. 1925 წლიდან სათავეში ედგა ქართულ პოლიტიკურ წითელ ჯვარს, რომელიც შემდგომ ქართულ ეროვნულ კომიტეტად გარდაიქმნა. მისი სამეცნიერო წერილები, როგორც სამედიცინო ისე ცნობილ ქართველ მოღვაწეებზე და ტერმინოლოგიის საკითხებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში. ვახტანგ ღამბაშიძე ფოტოგრაფიით იყო გატაცებული და მის ფოტოებში უნიკალური ისტორიული კადრებია ასახული და შემონახული. ის ქაქუცა ჩოლოყაშვილის პირადი ექიმი გახლდათ და მას უნდა ვუმაღლოდეთ პარიზში ქაქუცას დაკრძალვისა და ნინო პოლტორაცკაიას (ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე) სამგლოვიარო პროცესიის უიშვიათეს ფოტოებს. აგრეთვე აკაკი წერეთლის დაკრძალვის ამსახველ კადრებს. მან საფრანგეთში ქართული ბიბლიოთეკა დააარსა, აქტიურად მონაწილეობდა კრებულ „მერანის“ გამოცემაში, დაეხმარა სიმეს შოთა ნიკოლაძეს (ქალიშვილი მედეას მეუღლე, ნიკო ნიკოლაძის ძმისშვილი) პარიზში სპორტული ასოციაცია „შევარდენის“ „აღდგენაში“. საქართველოში სპორტული საზოგადოება „შევარდენი“ ვახტანგ ღამბაშიძის სიმემ ქალიშვილის ჟორჟეტას მეუღლემ გიორგი ნიკოლაძემ (ნიკო ნიკოლაძის ვაჟიშვილი) დაარსა. მონაწილეობას იღებდა ქართული სასწავლებელი „კერა“-ს შექმნაში, სადაც ქართველ ემიგრანტ ბავშვებს მშობლიურ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, ცეკვასა და სიმღერას ასწავლიდნენ. ვახტანგ ღამბაშიძეს ეკუთვნის უაღრესად მნიშვნელოვანი მემუარები, სადაც უამრავი აქამდე უცნობი ისტორიული ფაქტია დაფიქსირებული. ვახტანგ ღამბაშიძის ძმა იყო დავით ღამბაშიძე (1884-1963) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი და მეცენატი. 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში).

სხვა თაობისა და მსოფლიო მრავალ ქვეყანაში გაბნეული ქართველი ემიგრანტები „სიამაყითა და დიდი სიყვარულით იხსენებდნენ ქართული უნივერსიტეტის გახსნის ამბულგებელ დღეს“ (დამბაშიძე, 2024, გვ. 5). სიტყვა მედეამაც წარმოთქვა. თავის დღიურებში მედეა დამბაშიძე აღფრთოვანებული წერს, 26 მაისზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეზე, იმ დიდებულ ადმაფრენასა და წარუშლელ შთაბეჭდილებაზე, რაც ყველა ქართველში დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გამოიწვია, როგორი საოცარი, განწყობა სუფევდა ქვეყანაში, ყველა ენით აუწერელ ენთუზიაზმს განიცდიდა. საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელი ჩვენი თანდასწრებით დაიწერა – წერდა სიამაყით აღვსილი ავტორი. დღიურებიდან ვგრძნობთ, რომ ეს დღე ქართველებისათვის სიკეთითა და სიყვარულით, „განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობით“ და მშვენიერი განცდებით იყო დატვირთული. შემდგომ ავტორი კი უკვე რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაციას აღწერს, რომელსაც მამულის დაკარგვისგან გამოწვეულ უდიდეს ტკივილს უწოდებს. ქართველი საზოგადოებისათვის უაღრესად ყურადსაპყრობია მედეას მოგონებების ის ნაწილი, რაც საზოგადოება „შევარდენის“ დაარსებას ეხება. მკითხველის თვალწინ რეტროსპექტულად იშლება 1919 წლის 28 აპრილი. „შევარდენის“ სპორტსმენების პირველი დემონსტრაცია, თავი ოლიმპოზე მეგონა – იხსენებს ავტორი. მედეა დამბაშიძეს „მოუშუშებელი ტკივილი იპყრობს“, რომელიც საქართველოს იძულებით გასაბჭოებამ გამოიწვია. დამბაშიძეები უკვე ემიგრაციაში არიან და მათ ისევე როგორც ყველა ქართველ ემიგრანტს ერთი წუთით არ ტოვებს დიდი, არა პირადი, არამედ საერთო დარდი და ნოსტალგია. ავტორი დამაჯერებლად, ელდისაგან გამშრალი, სინანულით გვიყვება იმ დღეებზე, როდესაც უმეღობა უკიდურეს ზღვარს აღწევს. ემიგრანტი ქალბატონისათვის ხომ უპირველესი ეროვნული, სოციალური და მოქალაქეობრივი მოვალეობა იყო. მოგვყავს ვრცელი ნაწყვეტები დღიურიდან:

„3 ივნისი 1923 წლის სევდიანი და აუტანელი, ასეთიდიდი უღრმესი მწუხარების და სამგლოვიარო დღე ჩემს ცხოვრებაში არ განმიცდია. ბოლშევიკებმა ხელიდან გამოგვაცალეს ძვირფასი სამშობლო <...> ჩაქრა ოდნავ მბჟუტავი სინათლე, რომელიც ღვიოდა ჩემს გულში. ჩემს მომავალზე ფიქრს შავი ფარდა ჩამოეშვა. იმდენად მოქმედებს ჩემი სამშობლოს, საყვარელი პატარა საქართველოს დაკარგვა, რომ სიცოცხლის ხალისიც მეკარგება. ერთადერთი ჩემი მიზანი იყო სამშობლოსათვის რაიმე სამსახურის გაწევა. ვინაიდან სხვანაირად არ შემიძლია. მინდა ევროპისათვის მეცნო და საერთოდ დედამიწის ზურგისათვის, რომ არსებობს პატარა, ძველი ქვეყანა, რომელიც უდიდესი და ულამაზესი, ყველაზე უფრო ძნელადსატანი ისტორიის შემდეგ კიდევ არსებობს და რომელსაც ასე უდმერთოდ, ლაჩრულად და უსინდისოდ აწვალებენ და უპირებენ ძირფესვიანად მის აღმოფხვრას. ქართველებს ისიც არ გეყოფნის, რომ მომორებულები ვართ სამშობლოს, მოწყვეტილები ჩვენ ნაცნობ- მეგობრებს, ნათესავებს, ჩვენ მიწა-წყალს. მოგვდის საშინელზე უსაშინლესი ამბები და ვით ხელფეხშეკრულები არაფერი არ შეგვიძლია იქ დარჩენილ ძმათა მისაშველებლად. პატარა იმედი სამშობლოს გათავისუფლებისა გაქრა. მოსპეს, გათელეს თავიანთი უწმიდური ფეხებით. ერთი იმედი მასულმდგომლებდა, რომ გეყავდა ისეთი გმირები, ვინც სამშობლოსათვის თავდადებულნი ემზადებოდნენ მის გასათავისუფლებლად. <...> საუბედუროდ მხეცებმა აღმოაჩინეს და ეს სამზადისი და არამც თუ ციხეში ჩასვეს მისი უმთავრესი წინამძღვარნი, არამედ მოუსპეს სიცოცხლე, ცივი ტყვიით განუგმირეს სამშობლოსადმი სიყვარულით მფეთქავი გული საუკეთესო მამულიშვილთ, <...> გულით და სულით მათთან ვიყავი, თითქმის უმთავრესი ძარღვი ჩემი გულისა მათთან შეერთებული მათვის სცემდა. გამიჩერდა, ეხლა გული გამიჩერდა და „დამიხშო უკულმართმა ნუგემის კარი“ (ბარათაშვილი) (დამბაშიძე, 2024, გვ. 258).

არანაკლებ შთამბეჭდავია, მოგონებების ის ნაწილი, რომელიც პარიზში 1923 წლის 20 მაისს „ქართველ კათოლიკეთა მონასტერში“ საქართველოს დახვრეტელ გმირთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს ეძღვნება. „თითქმის მთელი ემიგრაციას მოეყარა თავი. ვიგრძენით ყველამ რომ სამგლოვიარე დღეს ვესწრებოდით, ისეთს როგორც არასოდეს. უცხოეთში გადმოყრილი ქართველობა

არ ვხვდებით ერთმანეთს თუ არა პანაშვიდებზე და დამარხვებზე. ჩვენთვის სამუდამოდ გათავდა მხიარული და სასიამოვნო დღეები. ამ დღესაც შევიკრიბეთ ტაძარში, რომ საუკუნო ხსენება გვეთქვა გმირებისათვის – ვკითხულობთ დღიურში. მედეა ღამბაშიძესათვის სამშობლო სამყაროში ყველაზე დიდი ღირებულებაა, მარადიული კატეგორია. ღამბაშიძის თავს გადამხდარი ამბები ერთიან მთლიან სურათს ქმნის. ავტორისათვის ეს მოგონებები გაუსაძლის ტკივილთან არის დაკავშირებული, როდესაც საკუთარი დარდი მთელი ქართული ემიგრაციის საერთო ტკივილია. დღიურებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ავტორი თავად არის მონაწილე ამ ისტორიული მოვლენებისა და ჩვენც ამ ამბების მონაწილედ გვხვდის. მის დღიურებში მკითხველი გრძნობს, რომ სამშობლოში მიმდინარე პროცესები ის საყოველთაო ჯოჯოხეთი ემიგრანტებში ტრავმული ცნობიერების დაძლევა შეუძლებელს ხდის. მხოლოდ გასული საუკუნის 70-იან წლებში გახდა შესაძლებელი საბჭოეთში დარჩენილი ბიძაშვილებისათვის ხმის მიწვდენა, როდესაც მედეას ვაჟი, ცნობილი პედიატრი რეზო ნიკოლაძე საქართველოში ჩამოვიდა, შემდეგ კი მისი და ნათელა ნიკოლაძე და მათი შვილები. „ძალიან მასიამოვნებ თუ გამომიგზავნი შენი ქმრის და მანანას სურათებს“, – წერდა მედეა რეზიკოს ხელით თბილისში ჩამოტანილ წერილში თავის ბიძაშვილს თამარ ღამბაშიძეს. (ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ანტონ კელენჯერიძის მეუღლეს).

„ჯუანშერმა (თამარის ძმა) გამომიგზავნა თავისი სურათი შვილებისა და შვილიშვილების პატარა სურათები. ჩემი აზრით, რამაზი შალიკოს (შალვა ღამბაშიძე, ჯუანშერისა და თამარის ძმა, ცნობილი ქართველი მსახიობი) გავს. შენი სურათი მაქვს, მაინტერესებს, ეხლა როგორ გამოიყურები. როცა მივიღებ თქვენ სურათებს, მეც გამოგიგზავნი. რეზიკომ პატარა კოლოფით სანატორიის მიწა ჩამომიტანა და ჟორჟეტას გავუგზავნე შოტლანდიაში, რომ მამას საფლავზე დაეყარა (ცოტა ჩემთვისაც შევიწახე!). ჩვენც თქვენსავით სამნი დავრჩით! ჟორჟეტა გადაკარგულშია და ჩვენ თუ არ წავედით მასთან, ისე ვერ ვნახულობთ. ერთი ქალიშვილი ჰყავს ნინო და შვილიშვილი (3 წლის) დავითი, <...> სუნანას სამი შვილიშვილი ჰყავს და ძალიან კარგი ბებია აღმოჩნდა. ისეთი დაკავებულია მათი მოვლით, რომ იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. მისი ვაჟი გოგი ექიმი და რძალი საავადმყოფოში უფროსი მოწყალების და, ბევრს მუშაობენ, <...> მაგრად გეხვევი და გკოცნი. სუნანა და ჟორჟეტაც გიგზავნიან კოცნას. ჯერ-ჯერობით შენი მედია“ (წერილი თბილისში ღამბაშიძეების საოჯახო არქივშია დაცული).

რაც შეეხება ჟორჟეტა ღამბაშიძეს, როდესაც მისი შვილიშვილი დევიდი გაიზარდა, ის გასული საუკუნის 90-იან წლებში თბილისში ჩამოვიდა. დევიდმა გვიამბო, რომ მისი ბებო ემიგრანტის სევდით ცხოვრობდა, რამაც მას დევიდს გადააწყვეტინა, ერთი მხრივ, სერბეთში ჰუმანიტარულ მისიას შეერთებოდა და კონფლიქტის ზონაში ემსახურა, მეორე მხრივ კი, ენახა ის ქვეყანა, რომელზეც, მისი სიტყვებით, ბებო ასე დარდობდა. უსაყვარლეს სამშობლოში კი ბებოს ბევრი რამ გადახდა. ვახტანგ ღამბაშიძის უმცროსი ქალიშვილი ჟორჟეტა გიორგი ნიკოლაძის მეუღლე გახლდათ. ის სრულიად ახალგაზრდა გათხოვდა, მეუღლე მასზედ ბევრად უფროსი იყო. გიორგი ნიკოლაძე ჩვენს უახლეს ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა, ის მათემატიკოსი (სორბონაში დაიცვა დისერტაცია), მეტალურგი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთერთი დამაარსებელი, ცნობილი სპორტსმენი იყო. გიორგისა და ჟორჟეტას საქართველოში ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთერთ უმძიმეს ხანაში, ბოლშევიკური ჯოჯოხეთის ზეობის დროს მოუწიათ. ჟორჟეტა ღამბაშიძემ თავისი განვლილი ცხოვრების ამ პერიოდზე (1928- 1931 წ.) უსაზღვრო ტკივილითა და შიშით გაჯერებული მოგონებები დაგვიტოვა („მცირე მონათხრობი ჩემს ცხოვრებაზე“. ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, 2009. თებერვალი). რაოდენ მტკივნეული იყო ახალგაზრდა ქალისათვის იმ პერიოდის გახსენება, როდესაც მისმა ოჯახმა ქვეყნიდან ემიგრაცია გადაწყვიტა. ბუნებრივია, რომ მეხსიერებიდან ამ დღეების ამოშლა შეუძლებელია. „ხალხი გარბოდა, შემზარავი სანახაობის მოწმე გავხდით, ბათუმისკენ მიმავალ მატარებელში ყველაფერი სისხლში იყო ამოსვრილი, ახალგაზრდა, დაჭრილი, უხელო, უფეხო ჯარისკაცები შველას ითხოვდნენ, ჩვენ კი უმწეო ვიყავით რამე გველონა“ – წერდა ჟორჟეტა. ღამბაშიძეების ოჯახი ცოტა ხნით სტამბულში, ხოლო შემდეგ პარიზში დამკვიდრდა. ჟორჟეტასათვის სამშობლოში დაბრუნების იმედი თანდათან „სულს ლაფავდა“. მას მუდმივად აწუხებდა და სტანჯავდა ფიქრი, ღირდა თუ არა იმ ავადსახსენებელი ამბების გახსენება და აღწერა.

გულის კუნჭულში შეფარული იყო განცდა, რომ კომუნისტებს შეეძლოთ ფეხის მყარად მოკიდება, მათი ოჯახი კი სანატრელ სამშობლოში ვერასდროს დაბრუნებოდა, მუდმივ ლტოლვილობაში გაატარებდნენ ცხოვრების დარჩენილ დღეებს. მესხიერებაში აღბეჭდილი მძაფრი შთაბეჭდილებები მოსვენების საშუალებას არ იძლეოდა. ვახტანგ ღამბაშიძესა და მისი ოჯახის თითოეულ წევრს სამშობლოს მონატრება ძვალრბილში ჰქონდათ გამჯდარი. „*მამა შემზარავი სანახავი იყო, ნაპირზე გამორიყულ თევზს წააგავდა*“ – მწუხარებით იხსენებს ჟორჟეტა ღამბაშიძე. დაბრუნების სურვილი დიდი იყო, მაგრამ ბიძაშვილები, ნათესავები, უახლოესი მეგობრები „*ბლომად დახვრიტეს, გაჟლიტეს, ან გააციმბირეს*“. ჟორჟეტას მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ ის პარიზში „გალინანში“ იწყებს მუშაობას და პირველად ბოლო წლებში ბედნიერების შეგრძნება არ სტოვებს, რადგან ბიბლიოთეკაში ხვდება კიპლინგს, ჯეიმს ჯოისს, მეფე ფრედერიკსა და მის მეუღლე მარიას, ესპანეთის მეფეს და სხვა ცნობილ პიროვნებებს. 1926 წელი დაუვიწყარია მის ცხოვრებაში, მან გიორგი ნიკოლაძე გაიცნო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობამ ნიკოლაძეს სასტიკად აუკრძალა ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრა, ის ღამბაშიძეების ოჯახს მაინც ესტუმრა, როგორც ჟორჟეტა წერს, მეგობრობა მალე სიყვარულში გადაიზარდა და ჯვარი პარიზში დაიწერეს. 1928 წელს დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად საქართველოში ჩამოვიდნენ. ჟორჟეტასა და გიორგის თბილისში ნიკოლაძეების ოჯახის წევრებმა (გიორგის და აკად. ნიკო მუსხელიშვილის მეუღლე იყო) და ნათესავებმა საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. ჟორჟეტა ღამბაშიძის თვალით დანახულ თბილისში უკიდურესი გაჭირვება სუფევდა. ქუჩებში დაჩაჩანაკებული და გასაცოდავებული ხალხი დადიოდა. ძალზედ ღარიბულად ეცვათ. ხალისდაკარგული იყო გარემო, „*ვცდილობდი გიორგის არ შეემჩნია, მასთან ერთად ვიყავი და მეგონა ქვეყანაზე ყველაფერს ავიტანდი*.“ სწრაფად ახდა ავისმომასწავლებელი განცდა და ჟორჟეტა ღამბაშიძე „გპუ“-ში დაიბარეს. გიორგი ნიკოლაძე ბევრს ეცადა, რომ ბერიას დაკავშირებოდა და დაკითხვაზე დასწრების ნება მიეღო, მაგრამ ამაოდ. „გპუ“-ში შიშის ატმოსფერო სუფევდა, გიორგიც თან წამომყვა, სანამ დასაკითხად შემიყვანდნენ, ჩვენი საქორწილო ბეჭედი და დედაჩემის ნაჩუქარი მძივი გადავეცი. ვიცოდი, რომ იქიდან გამოსული ხალხი არავის ენახა“ – იხსენებს ავტორი. ჟორჟეტას ოთახში ორი რუსი გამომძიებელი დახვდა. საუბარი დიდხანს გაგრძელდა, დაწვრილებით ეკითხებოდნენ მამაზე, ბიძებზე, ბიძაშვილებზე. დამემუქრნენ, რომ ჩემს ყველა წერილს კითხულობდნენ და მშობლებთან მიმოწერა იშვიათად მქონოდა. მართალია, ის გამოუშვეს, მაგრამ ამ მძიმე დარტმის შემდეგ მან და გიორგიმ თურქეთის გავლით გაპარვა გადაწყვიტეს, თუმცა მალე მიხვდნენ, რომ ეს სახიფათო ჩანაფიქრი იყო. ჟორჟეტასათვის ზოგიერთ ჩინოვნიკს არაერთხელ შეუთავაზებია, რომ თუ ვახტანგ ღამბაშიძე სამშობლოში დაბრუნდებოდა, მას წარმატებული კარიერა ელოდა. მამის ახლობლები კი კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ, ფიქრობდნენ, რომ დაბრუნება საბედისწერო შეცდომა იქნებოდა.

1928 წელს გიორგი ნიკოლაძე თეთნულდზე ექსპედიციას აწყობს, ჟორჟეტაც თან ახლავს. მათ უამრავი ფოტო გადაიღეს და ექპედიციაში თავს გადამხდარი ამბები ზედმიწევნით აღწერეს (თუმცა, 1931 წელს, როდესაც ჟორჟეტას საქართველოს დატოვება მოუხდა, ჩეკისტებმა ყველაფერი ჩამოართვეს). ის თბილისში ამერიკელების ვიზიტსაც იხსენებს. ჟორჟეტა თარჯიმნად იყო მიწვეული, უცხოელებმა არაჩვეულებრივი დრო გაატარეს. ერთერთი ამერიკელი მას გაუთავებლად აქაურ ყოფაზე ელაპარაკებოდა, ჟორჟეტამაც დაუფარავად უამბო საქართველოში გაბატონებულ საბჭოთა რეჟიმზე. ახალგაზრდა, გამოუცდელი ქალი გვიან მიხვდა, რომ ამერიკელმა ყველაფერი „გპუ“-ს მოახსენა. ამ ამბავსაც უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად იმისა, ჟორჟეტა ღამბაშიძემ მეუღლესთან ერთად ბედნიერი და საინტერესო წლები გაატარა, გრძელდებოდა კონცერტები, თავყრილობები, ექსპედიციები „სიმძიმისა და მხნეობის ნახავის ფონზე“, მაგრამ საფრანგეთიდან მძის უეცარი გარდაცვალების ამბავმა ცხოვრება გაუმწარა, როდესაც ოჯახისაგან შორს ხარ და არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. მუდმივმა შიშმა, ემიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრების მონატრებამ აიძულა იგი საქართველოს დატოვებაზე ეფიქრა. ჟორჟეტას, ვისაც სამშობლოს სიყვარული ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და ემიგრაციის სიმწარეც უწვნია, ქვეყანაში არსებულმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა მისი ცხოვრება გაუსაძლისი გახადა. გიორგი ნიკოლაძის აზრით კი, პირიქით, ისინი საქართველოში უნდა დარჩენილიყვნენ და „ყოველი ღონე ეხმარათ შემორჩენილი ნაშთების“

გადასარჩენად, ქართველებს სამშობლო განწირული გემივით არ უნდა დაეტოვებინათ. ამგვარად ფიქრობდა გიორგის გარშემო ბევრი გამოჩენილი მეცნიერი თუ ხელოვანი. ჟორჟეტა ღამბაშიძე თავისი ცხოვრების ყველაზე ტრაგიკულ დღეებს იხსენებს, როდესაც გიორგი ნიკოლაძე ფილტვების ანთებით ავად გახდა. ექიმები ძალას არ იშურებდნენ, ისიც ერთი წუთით არ მოშორებია მეუღლეს, მაგრამ გადარჩენის ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. დაკრძალვას „სახელმწიფოს მიერ მოწყობილ ცერემონიალს“ ზღვა ხალხი დაესწრო. მეუღლის დაკარგვა ბოლო წვეთი აღმოჩნდა, ახალგაზრდა ქალმა მტკიცედ გადაწყვიტა რათაც არ უნდა დაჯდომოდა საბჭოეთი დაეტოვებინა. საფრანგეთში დასაბრუნებლად ბერიას თანხმობა იყო საჭირო. ჟორჟეტა ლავრენტი ბერიას ცინიკურ სიტყვებს იხსენებს, როგორ შეიძლება ქვეყნის მტერს დიდი ხნის უნახავი შვილის ნახვით სიამოვნება მივანიჭო. ის მულთან ერთად მოსკოვში მიემგზავრება, რომ ახლობლების დახმარებით აბელ ენუქიძესთან¹ შეხვედრა მოეხერხებინა. მოსკოვში ნაცნობები უმტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირში ევროპასთან შედარებით ბევრად უკეთესი ცხოვრება იყო. ახალგაზრდა ქალს მეუღლის დაკარგვის შემდეგ მარტობისა და მწუხარების განცდა უზომოდ სტანჯავდა. ის მხოლოდ მეუღლის ხათრით დაბრუნდა. უამრავი წინააღმდეგობების მიუხედავად ჟორჟეტა აბელ ენუქიძეს უკავშირდება. ენუქიძე გიორგი ნიკოლაძეს დიდ პატივს სცემდა და ვახტანგ ღამბაშიძესაც კარგად იცნობდა. მათ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა. მე მას ავუხსენი, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში ცხოვრებამ აზრი დაკარგა – წერს ის. ენუქიძე ჟორჟეტას დარჩენას ურჩევდა, რადგან მან უცხო ენები კარგად იცოდა, სამსახურსაც ადვილად უშოვნდნენ და პენსიითაც უზრუნველყოფდნენ და თუ მამასაც დაითანხმებდა უკან დაბრუნებულიყო, ვახტანგ ღამბაშიძესაც თავისი სპეციალობით საუკეთესო სამსახურს შესთავაზებდნენ. ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, ჟორჟეტა ღამბაშიძე იძულებულია იცრუოს, რომ ის აუცილებლად დაბრუნდება და უმჯობესი იქნება მამას თავად აუხსნას ყველაფერი. აბელ ენუქიძეც თანხმდება და მას პასპორტს მხოლოდ ერთი წლით აძლევს. სასწაულის მოლოდინი მქონდა – ვკითხულობთ მის მოგონებებში. პარიზისაკენ მიმავალ მატარებელში თავისუფლებით ტკბებოდა, მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი ნუთუ მართლა დაიხსნა თავი საბჭოთა მარწუხებიდან. მის აფორიაქებულ სულში მტკივნეული განცდა ისადგურბს, რომ ის ვედარასოდეს ნახავს საყვარელ მიწა-წყალს, სადაც გიორგისთან ერთად სამი ბედნიერი წელი გაატარა. ჟორჟეტას პარიზში მთელი ოჯახი დახვდა. ჟორჟეტას ენუქიძისათვის მიცემული პირობა არ ავიწყდება და სწორედ იმ დროს აბელ ენუქიძეც პარიზში ჩადის. როდესაც შევხვდი ორ ცეცხლს შუა ვტრიალებდი, – იხსენებს ჟორჟეტა, პირობაც არ უნდა დამერღვია და თანაც ამეხსნა, რომ მამა დაბრუნების სასტიკი წინააღმდეგი იყო. აბელ ენუქიძე ჟორჟეტას რესტორანში პატიჟებს, მას რუსი ჩეკისტებიც თან ახლდნენ, ენუქიძემ ის გარეთ გაიყვანა და ჩუმად გააფრთხილა, რომ მოსკოვში ბევრი რამ შეიცვალა და უკან დაბრუნებას არ ურჩევდა. სიხარულით აღსავსემ ვკითხე სამაგიერო რითი გადაგიხადოთო, ვკითხულობთ მის მოგონებებში, მან გაიღიმა და მიპასუხა შეხედე ამ მთვარეს და ყოველი ახალი მთვარის გამოჩენისას გამიხსენეო. ჟორჟეტასც არასოდეს დავიწყებია ეს სევდიანი ისტორია. ჟორჟეტა ღამბაშიძემ საფრანგეთში მულისაგან წერილი მიიღო, მას ბერია ქუჩაში შეხვდა (მეზობლები იყვნენ) და უთქვამს, „არა უშავს, სადაც არ უნდა იყოს მაინც მივწვდებითო“. მისთვის ძალზე მწარე იყო ლტოლვილის ხვედრი, როდესაც შორს ხარ და გესმის, რომ რუსეთი ომის გამოუცხადებლად შეიჭრა საქართველოში და ექვსკვირიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ დაიპყრო იგი. ჟორჟეტა ღამბაშიძე კარგად აცნობიერებდა, რომ მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების პროტესტისა და ქართველი ხალხის მუდმივი წინააღმდეგობისა, რუსეთს თავისი ბრწყალებიდან არ გაუშვია საქართველო, თანდათან ანადგურებდა სამიათასწლოვან თვითმყოფად კულტურას, ანგრევდა თექვსმეტსაუკუნოვანი ქრისტიანული სარწმუნოების ძეგლებს, მაგრამ არასლავური ერის ფიზიკური და მორალური ამოშანთვის ეს საზარელი მცდელობა, ბრწყინვალე ქვეყნის მიწასთან გასწორება ეს უზარმაზარი ძალისხმევა მარცხისთვის იყო განწირული. „საქართველო კიდევ ერთხელ გათავისუფლდება. კავკასია იქნება დამოუკი-

¹ საბჭოთა სახელმწიფო, პარტიული მუშაკი, სტალინთან დაახლოებული პიროვნება. 1937 წელს ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის დახვრიტეს.

დებელი და თავისუფალი ქართველების ერთობა. ჯერჯერობით ეს მხოლოდ მოლოდინია“. ამ იმედთან ნოტაზე ამთავრებს ის თავის მოგონებებს. ჟორჟეტა ღამბაშიძე თავს ხშირად უსვამდა კითხვას, შესძლო თუ არა მან საქართველოში ყოფნისას (1928-1930 წლების) ამბების გადმოცემა. წლების, რომელიც უზომოდ ნეტარებითა და თავზარდამცემი მწუხარებით იყო გაჯერებული. მის მოგონებებში სამშობლოს მარადიული მონატრება, მძიმე ნოსტალგიური განწყობა და „ტკივილიანი ემოციები“ ჩანს. ჟორჟეტა ღამბაშიძე მეორედ დაქორწინდა და შოტლანდიაში გადავიდა საცხოვრებლად. მისი მეუღლე ვიცე პოლკოვნიკი, საპატიო ორდენის კავალერი ნიკ სტიუარტი იყო. მედეასა და ჟორჟეტას და სუნანა (თამარ) ღამბაშიძე გახლდათ. საკმაოდ წარმატებული ხელოვანი. მეგობრობდა ელენე ახვლედიანთან, ვერა ფაღვასთან და ცნობილ ფრანგ კულტურის მოღვაწეებთან. მისი მეუღლე ცნობილი ქართველი სამხედრო პირი ნიკოლოზ თოხაძე იყო. მან სამხედრო წარმატებას საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში მიაღწია. 35-წლიანმა სამსახურმა ნიკოლოზ თოხაძეს პოლკოვნიკის წოდება და საფრანგეთის თითქმის ყველა უმაღლესი სამხედრო ჯილდო, მათ შორის საპატიო ლეგიონის ორდენი მოუტანა. ის ყველაზე მაღალი წოდების მქონე ქართველი ოფიცერი იყო. პარიზში 1939 წელს გამართულ გრანდიოზულ სამხედრო აღლუმზე პირველად მიიწვიეს უცხოური ლეგიონის ნაწილებიც, რომელსაც ორი ქართველი ოფიცერი, დიმიტრი ამილახვარი და ნიკოლოზ თოხაძე მეთაურობდნენ. ლეგიონერებმა დიდი ოვაციით ჩაიარეს ელისეს მინდვრებზე. კაპიტულაცია საბჭოთა რეჟიმთან თუ გინდ ფორმალური, როგორც ბევრი ქართველისათვის, ღამბაშიძეების ოჯახისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. ამის მკაფიო მაგალითი გივი ღამბაშიძის ისტორიაა. დებს ერთი ძმა ჰყავდათ გივი, ის გმირულიობრივად 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ. მსახურობდა მე-2 ქვეით ბრიგადაში. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ სამშობლო დატოვა. გივი ღამბაშიძემ დაგვიტოვა უაღრესად ყურადსაპყრობი მემუარები „ომის დღეები“ – მოგონებები რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ. დღიური ყველაზე სრული სურათს გვიჩვენებს ქართველების თავგანწირულ ბრძოლაზე უხეშ, უთანასწორო ბოლშევიკურ ძალებთან. როგორც მკვლევარი დიმიტრი სილაგაძე შენიშნავს, გივი ღამბაშიძის დღიურებში განსაკუთრებით ფასდაუდებელია 21 თებერვლის ვაზიანის, 24 თებერვლის რუსული შტურმის და თბილისიდან უკანდახევის, 4-6 მარტის ოსიურის ბრძოლების აღწერა. ვაზიანის ბრძოლებზე კი მეცნიერი წერს, რომ ამ შეტაკებების ასეთი დეტალური და ემოციური სურათები ჩვენ აქამდე არ გვქონია. გივი ღამბაშიძეს სწამდა, რომ ბოლშევიკურ ტერორს შეწირული ქართველი დახვრეტილი გმირების სულები „არ კვდებიან, დახვრეტილები შურს იძიებენ, დახვრეტილებთან მთელი საქართველოა, მამ ძრწოდეთ, ლაჩარო, გაუნათლებლო, ბრიყვო მტერო“, ის ბოლშევიკებმა დააპატიმრეს, შემდგომ გივიმაც დატოვა სამშობლო და უცხოეთში ოჯახს შეუერთდა. მან იძულებით დევნილობასა და სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული ტრავმის გადატანა ვერ შესძლო, ახლგაზრდა კაცს დეპრესიამ დარია ხელი და ემიგრაციაში თავი მოიკლა.

ემიგრაცია, კაცობრიობის ისტორიის თანმდევი, განუყოფელი და მრავალგანზომილებიანი მოვლენაა, მაგრამ ჩვენ ყურადღებას მის ერთ ასპექტზე შევაჩერეთ. როგორც ვიცით, იდენტობის პრობლემა ადამიანის ჯანსაღი ფსიქიკური არსებობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია. პასუხი კითხვაზე თუ ვინ ვარ მე, სამყაროში მისი არსებობის ღერძი და საყრდენია. ამ იდენტობას ადამიანი ბავშვობიდან ინკულტურაციის გზით უნდა იძენდეს, რაშიც მას წინა თაობა, თუ თაობები ეხმარება. რაც უფრო ინკულტურირებულია ინდივიდი მოცემულ კულტურასთან, მით მეტადაა მასში იდენტობის ფესვები გადგმული. ნიადაგიდან ამოძირკვეული ფესვები ადამიანსაც მცენარესავით საფრთხეს უქმნის. ის, ვინც შესძლებს საკუთარი იდენტობა მოარგოს ახალ გარემოს, ცხოვრების წესსა თუ კულტურას, ის ინარჩუნებს საკუთარს. ის, ვინც ვერ ახერხებს საკუთარის შენარჩუნებას და იძენს ახალს, ხდება სხვა. ჩვენი აზრით, ეს პროცესი უმთავრესად ეთნიკურ იდენტობას ეხება. ამის ცნობილი მაგალითებია ქართველთა მუსლიმურ სამყაროში მრავალსაუკუნოვანი არსებობა. ღამბაშიძეებმა საქართველოდან წაიღეს ძლიერი ეროვნული იდენტობა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნეს, ტკივილით გამოატარეს სამშობლოში დაბრუნების იმედი და აღთქმული მიწის, საქართველოს სიყვარული შვილებს გადასცეს. გივი ღამბაშიძემ ვერ შესძლო ფესვების გარეშე. ყველაზე მეტად ეს მედეამ და შემდეგ მისმა დებმა სუნანამ და ჟორჟეტამ შესძ-

ლეს. სიცოცხლეში მედეა ღამბაშიძე საქართველოს თავისი შვილებით დაუბრუნდა, გარდაცვალების შემდეგ კი თავისი დღიურებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი. (2019). თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ნათელა და რეზო ნიკოლაძეების პირადი არქივი.
- ნაცვლიშვილი, პაატა, (2022). „ჯორჯეტა“. „ლიტერატურული გაზეთი“. 18 (346).
- ღამბაშიძე, გივი. (1917). „ომის დღეები“, თბილისი: საქართველოს ეროვნული არქივი.
- ღამბაშიძე, ვახტანგ. (2018). „ჩემი თავგადასავალი“. თბილისი: „სეზანი“.
- ღამბაშიძე, მედეა. (2024). „პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი“ (პროექტის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი). თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.
- ღამბაშიძე, ნინო. (2010). „ვახტანგ ღამბაშიძე – ცხოვრება და მოღვაწეობა“, წიგნში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. 1 (7).
- ღამბაშიძე, ჯორჯეტ. (2009). „მცირე მონათხრობი ჩემს ცხოვრებაზე“. „ჩვენი მწერლობა“. თებერვალი.

References:

- Gambashidze, Givi. (1917). "Omis Dgeebi". ["Days of War"]. Tbilisi: Sakartvelos Erovnuli Arqivi.
- Gambashidze, Jorjet'. (2009). "Mtsire Monatkhrobi Chems Tskhovrebaze". ["Short Stories About My Life"]. Jur. "Chveni Mt'serloba". Tebervali.
- Gambashidze, Medea. (2004). "P'irveli Kartuli Universit'et'is P'irveli St'udent'i". (P'roek'tis khelmdzgvaneli Zurab Gaip'arashvili). ["The First Student of the First Georgian University" (Project Manager Zurab Gaiparashvili)]. Tbilisi: Tsu-s Gamocemloba.
- Gambashidze, Nino. (2010). "Vakhtang Gambashidze – Tskhovreba da Moghvats'eoba". Ts'gnshi: "Akhali da Uakhlesi Ist'oriis Sak'itkhebi". ["Vakhtang Gambashidze – Life and Work", in the book: "Issues of New and Recent History"]. 1.(7).
- Gambashidze, Vakht'ang. (2018). "Chemi Tavgadasavali". ["My Adventure"]. Tbilisi: "Sezani".
- Natela da Rezo Nik'oladzebis P'iradi Arkivi. [Personal Archive of Natela and Rezo Nikoladze].
- Natsvlshvili, P'aat'a. (2022). "Jorjet'a". ["Georgetta"]. "Lit'erat'urui Gazeti". 18. (356).
- Vakhtang Gambashidzis Albomi. (2019). [Vakhtang Gambashidze Album]. Tbilisi. "Bak'ur Sulak'auris Gamomtsemloba.